საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ნაწილი:

„6. ამ კოდექსის 165^{11} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი დამსაქმებელს შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა.“.

2. 165^{11} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა:

1. საპენსიო შენატანის/შენატანების განხორციელების ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ საშემოსავლო დეკლარაციის შესწორება/დაზუსტება, რომლის გათვალისწინებითაც დამსაქმებელი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით განახორციელებს საპენსიო შენატანს/შენატანებს.

2. სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციას ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრება შესაბამისი ვალდებულების საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით შეუსრულებლობის შემთხვევაში.“.

3. 242-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 ნაწილი:

„8. ამ კოდექსის 165^{11} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საპენსიო ფონდი გამოსცემს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოცემის წესსა და პროცედურას ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საპენსიო ფონდი.“.

მუხლი 2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165^{11} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი დამსაქმებელს დაეკისრება ამ კანონის ამოქმედებამდე პერიოდში წარმოშობილი შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში, სათანადო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების რაოდენობის მიუხედავად.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყველაშვილი**

თბილისი,

26 ივნისი 2025 წ.

N834-IIმს-XIმპ